

ნორვეგიაში აღმოჩენილი პანდემიური (H1N1) 2009 ვირუსის მუტაციის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის

20 ნოემბერი/ქენევა – ნორვეგიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტმა შეატყობინა ჯანმო-ს H1N1 სამი ვირუსის მუტაციის აღმოჩენის შესახებ. ვირუსებიდან, პირველი ორი, გამოყოფილ იქნა პანდემიური გრიპის ფატალური შემთხვევებიდან ქვეყანაში და ერთი, მძიმე დაავადების მქონე პაციენტიდან.

ნორვეგიელმა მეცნიერებმა შეამოწმეს 70-ზე მეტი პაციენტის ნიმუში და არც ერთი მუტაციის შემთხვევა არ იქნა აღმოჩენილი. ეს ადასტურებს იმას, რომ მუტაცია არ არის ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული.

აღნიშნული მუტაციის მქონე ვირუსი მგრძობიარეა ანტივირუსული პრეპარატების, ოსელტამივირის და ზანამივირის, მიმართ. კვლევებმა აჩვენა, რომ ამჟამად ხელმისაწვდომი პანდემიური ვაქცინა იცავს მუტაციური ვირუსისგან.

ფართომასშტაბიანმა ლაბორატორიულმა დაკვირვებამ გრიპის ვირუსზე გამოავლინა ვირუსების მსგავსი მუტაცია სხვადასხვა ქვეყანაში. ყველაზე ადრეული გამოვლენა მოხდა აპრილში. ნორვეგიის გარდა, მუტაცია გამოვლინდა ბრაზილიაში, ჩინეთში, იაპონიაში, მექსიკაში, უკრაინასა და აშშ-ში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ შემთხვევებზე ინფორმაცია არასრულია, რამდენიმე ფატალურ და საშუალო სიმძიმის შემთხვევაში დაფიქსირდა ვირუსის მსგავსი მუტაციები. მსოფლიო მასშტაბით, ფატალური შემთხვევების უმეტესობაში მუტაციური ვირუსი არ გამოვლინდა. ამ აღმოჩენის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ჯერ უცნობია.

მუტაციები ვლინდება სპორადულად და სპონტანურად. მუტაციური ვირუსით ინფიცირებულ არც ერთ პაციენტს შორის კავშირი არ დაფიქსირებულა და არ არის მოსალოდნელი გავრცელება.

მუტაციის მნიშვნელობა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე შეფასდა ჯანმო-ს გრიპის ლაბორატორიების ქსელის მეცნიერების მიერ. მუდმივი დაკვირვება უნდა მოხდეს ვირუსში ცვლილებებზე გენეტიკურ დონეზე. თუმცა, ამ ცვლილებების მნიშვნელობის შეფასება საკმაოდ რთულია. მუტაციების უმრავლესობა არ ცვლის ვირუსის და მის მიერ გამოწვეული დაავადების მნიშვნელოვან მახასიათებლებს. სწორედ ამ მიზეზის გამო, ჯანმო იყენებს კლინიკურ და ეპიდემიოლოგიურ მონაცემებს რისკის შეფასებისას.

მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება შემდგომი კვლევები, არ არსებობს მტკიცებულება იმის შესახებ, რომ აღნიშნული მუტაციები გამოიწვევენ H1N1 ინფექციის ზრდას, ან მიიმე და ფატალური შემთხვევების მომატებას.

ჯანმო-ს გრიპის ზედამხედველობის გლობალური ქსელის ლაბორატორიები განაგრძობენ დაკვირვებას გრიპის ვირუსზე და გვაცნობებენ იმ ცვლილებების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე.